იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყოფის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2016 წლის 8 ივლისს, ქალაქ დედოფლისწყაროში გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყოფის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტის განმახორციელებელია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციისხელშეწყობით. პროექტის ფარგლებში თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა დედოფლისწყაროს პირველადი ჯანდაცვის კლინიკა, რომელიც მოემსახურება მთელ მუნიციპალიტეტს. მობილური კლინიკის მეშვეობით სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპელიტეტის ყველა სოფელში. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 90 992 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.